

ზემო ქვალონი

პროექტების საერთო ღირებულება 81.290 ლარი.

განხორციელდა:

1. საყანე ფართობების შემოღობვა.
2. სანიაღვრე არხის ამოწმენდა.
3. გზების მოხრეშვა.
4. სასაფლაოს მისასვლელ გზაზე ცხაურის მოწყობა.
5. ხიდბოგირის რეაბილიტაცია.
6. საბავშვო ბაღის წყალსადენი სისტემის მოწყობა.

თორსა დღვაბა

პროექტების საერთო ღირებულება 128.304 ლარი.

განხორციელდა:

- 1.9 აპრილის მემორიალის სკვერის მოწყობა.
- 2.სანიაღვრე არხის ამოწმენდა.
- 3.სიდა გზების ორმული შეკეთება და მოხრეშვა.
- 4.სასაფლაოს შემოკავება და მისასვლელი გზის შეკეთება.
- 5.ადმინისტრაციული ცენტრის კეთილმოწყობა.
6. სპორტული მოედნის კეთილმოწყობა.
- 7.წყალსადენის რეაბილიტაცია.
- 8.საყანე ფართობის შემოკავება.

ნოჯიხევი

პროექტების საერთო ღირებულება 232.877 ლარი.

განხორციელდა:

- 1.საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები და რეაბილიტაცია.
- 2.სანიაღვრე არხის ამოწმენდა.
- 3.ხიდბოგირების მოწყობითი სამუშაოები.
- 4.საყანე ფართობების შემოღობვა და მისასვლელი გზის მოხრეშვა.
- 5.მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე წყალმარდი ცხაურის მოწყობა.
6. წყალსადენი ქსელის მოწყობა.
- 7.რკინა-ბეტონის ხიდის მოწყობა.
- 8.გზის ორმული შეკვეთვა ასფალტო-ბეტონით.

შუა ხორგა

პროექტების საერთო ღირებულება 139.276 ლარი.

განხორციელდა:

1. გზების ორმული შეკეთება.
2. სანიაღვრე არხების ამოწმენდა.
3. ეკლესიის ეზოს შემოღობვა და კეთილმოწყობა.
4. ადმინისტრაციული შენობის ეზოს შემოღობვა და კეთილმოწყობა.
5. საბავშვო ბაღის შემოღობვა.
6. გზების მოხრეშვა სხვადასხვა უბნებში.
7. სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.
8. ადმინისტრაციული შენობის ეზოში წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

ძველი ხიბულა

პროექტების საერთო ღირებულება 96180 ლარი.

განხორციელდა:

1. წყალსადენის რეაბილიტაცია საღურჭკაიოში.
2. სანიაღვრე არხების ამოწმენდა.
3. საყურაშვილოს გზის ორმული შეკეთება.
4. წყალსადენის ავზის შექმნა და მონტაჟი.
5. საყანე ფართობებთან დამაკავშირებელი ხიდ-ბოგირის მოწყობა.
6. სპორტული მოედნის სარემონტო სამუშაოები.
7. შიდა სასოფლო გზების ორმული შეკეთება სხვადასხვა უბნებში.

ხამისქური

პროექტების საერთო ღირებულება 177.643 ლარი.

განხორციელდა:

1. წყალსადენის რეაბილიტაცია .
2. სანიაღვრე არხის ამოწმენდა.
3. გზების ორმული შეკეთება(საფარცვანოს უბანი)
4. საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები.
5. საყანე ფართობებთან მისასვლელი გზების შეკეთება.
6. ბაღის ეზოს კეთილმოწყობა.
7. საკუკაოს წყლის მაგისტრალის მოწყობა.
8. საქირიოს საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია.
9. საყანე ფართობების შემოღობვა.
10. ადმინისტრაციული ცენტრის კეთილმოწყობა.
11. მოსაცდელის მოწყობა.
12. საკუკაოს საყანე ფართობების შემოღობვა.
13. საქირიოს წყალსადენის ქსელის მოწყობა.

ხეთა

2012-2015 წლებში სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების საერთო ღირებულება 362.335 ლარი.

განხორციელდა:

1. წყალსადენის სათაო ნაგებობებისა და ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები
2. სანიაღვრე არხის ამოწმენდა სხვადასხვა უბნებში
3. ლარჩვაში ცენტრის კეთილმოწყობა
4. საბავშვო ბაღის სახურავის შეკეთება.
5. გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები სხვადასხვა უბნებში.
6. რკინა-ბეტონის ხიდბოგირების მოწყობა სხვადასხვა უბნებში.
7. საქირიოს მინი-სპორტული მოედნის მოწყობა.
8. გზისპირა ნაპირსამაგრი სამუშაოები.
9. საკანკიოს წყალსადენის რეაბილიტაცია.
10. მოსაცდელის მოწყობა.

2015წ.

საბავშვო ბაღის სახურავის რემონტი	65000.00
გზის ორმული შეკეთება	4715.00
	5000.00
წყალსადენის რეაბილიტაცია	5500.00
სანიაღვრე არხის ამოწმენდითი სამუშაოები	8000.00
ჯამი:	88215.00

ხეთა

პროექტების საერთო ღირებულება 362.335 ლარი.

განხორციელდა:

1. წყალსადენის სათაო ნაგებობებისა და ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები
2. სანიაღვრე არხის ამოწმენდა სხვადასხვა უბნებში
3. ლარჩვაში ცენტრის კეთილმოწყობა.
4. საბავშვო ბაღის სახურავის შეკეთება.
5. გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები სხვადასხვა უბნებში.
6. რკინა-ბეტონის ხიდბოგირების მოწყობა სხვადასხვა უბნებში.
7. საქიროს მინი-სპორტული მოედნის მოწყობა.
8. გზისპირა ნაპირსამაგრი სამუშაოები.
9. საკანკიოს წყალსადენის რეაბილიტაცია.
10. მოსაცდელის მოწყობა.

ახალი ხიბულა

2012 -2015 წ.წ. პროექტების საერთო ღირებულება 194.617ლარი.

განხორციელებული სამუშაოები:

1

2.მოეწყო სატრანსპორტო მოსაცდელეები -2013წ.

3.მოეწყო მინი-სტადიონი 2013 წ.

4.მოეწყო სატრანსპორტო მოსაცდელეები -2013წ.

5.მოწესრიგდა არსებული წყარო - 2014წ.

6.მოხდა წყალსადენის რეაბილიტაცია 2012წ. , 2014წ.

7.შეკეთდა გზა კობახიძის ქუჩაზე -2012წ.

8.მოეწყო მილ-ხიდი - 2014წ.

9.ამოიწმინდა სანიაღვრე არხები - 2014წ.

10.მოხდა გზის ორმული შეკეთება -2014წ

1. საბავშვო ბაღის და სპორტული მოედნის რემონტი -2015წ..

ახალსოფელი

პროექტების საერთო ღირებულება 175.747 ლარი.

განხორციელდა შემდეგი პროექტები:

1. საბავშვო ბაღის რემონტი.
- 2..მოეწყო მინი-სტადიონი და შინმოუსვლელის ობელისკის ტერიტორია.
- 3.სასოფლო ხრეშოვანი გზის შეკეთება.
- 4.შემოკავდა საყანე ფართობები.
- 5.მოეწყო და გაიწმინდა სანიაღვრე არხები.

გურიფული

პროექტების საერთო ღირებულება 114.882 ლარი.

განხორციელდა:

1. I და II გურიფულის სასაფლაოების ტერიტორიის შემოღობვა.
2. სანიაღვრე არხის ამოწმენდა.
3. საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.
4. საყანე ფართობების მისასვლელი გზის აღდგენა.
5. საფეხბურთო მინი-სტადიონის კეთილმოწყობა.
6. სპორტული მოედნის განათების კვანძის რეგისტრაცია.
7. ხობისწყალზე საცალფეხო ხიდთან მისასვლელი გზის შეკეთება.

პატარა ფოთი

პროექტების საერთო ღირებულება 88.581 ლარი.

განხორციელდა:

- 1.საბავშვო ბაღის რემონტი.
- 2.სტადიონის კეთილმოწყობა.
- 3.საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის ორმული შეკეთება.
- 4.სანიაღვრე არხის ამოწმება.
- 5.რკინა-ბეტონის ხიდ-ბოგირის მოწყობა.
- 6.ადმინისტრაციული შენობის და ეზოს კეთილმოწყობა.
7. სასაფლაოს შემოღობვა.
8. ქუჩების დამისამართება.
- 11.შიდა სასოფლო გზების რემონტი, დაპროფილება-დატკეპნა ვიბრო სატკეპნით.

პირველი მაისი

პროექტების საერთო ღირებულება 217.699 ლარი.

განხორციელდა:

1. წყაროს წყლის სათაო ნაგებობის კაპიტალური რემონტი.
2. სანიაღვრე არხის ამოწმენდა.
3. საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.
4. გზების ორმული შეკეთება და მოხრეშვა.
5. ადმინისტრაციული შენობისა და ეზოს რეაბილიტაცია.
6. ბულიწყუს საყანე ფართობების შემოღობვა.
7. სასაფლაოზე მისასვლელი ცხაურის შეკეთება.
8. საყანეფართობების გამიჯვნა საზოგრებისგან.

საჯიჯაო

პროექტების საერთო ღირებულება 261536 ლარი.

განხორციელდა:

- 1.საბავშვო ბაღის სახურავის რემონტი.
- 2.მოსაცდელის მოწყობა.
- 3.შიდა სასოფლო გზების რემონტი.
- 4.საყანე ფართობების გამიჯვნა საძოვრებისგან.
- 5.გზის ორმული შეკეთება.
- 6.კულტურის სახლის სახურავის რემონტი.
- 7.ეკლესიის შემოკავება და მისასვლელი გზის რემონტი.
- 8.გალმა საჯიჯაოს მოსაცდელის მოწყობა.
- 9.სანიაღვრე არხის ამოწმენდა.
- 10.ხიდბოგირის მოწყობა.
- 11.საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.
- 12.გალმა საჯიჯაოს გზის რეაბილიტაცია.
- 13.მოსაცდელის მოწყობა(ჯაპიშაქარი).

ქარიატა

პროექტების საერთო ღირებულება 83.111 ლარი.

განხორციელდა:

- 1.საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა.
- 2.კლუბის სარემონტო სამუშაოები.
- 3.წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- 4.სკოლის ეზოს ღობის რეაბილიტაცია.
- 5.სოფლის გზების რეაბილიტაცია.
6. ეკლესიის ეზოს შემოღობვა.
- 7.გზის ორმული შეკეთება.
- 8.საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის შეკეთება.
- 9.სასაფლაოს ტერიტორიის შემოკავება
- 10.შიდა სასოფლო გზის სანიაღვრე არხის კიუვეტის მოწყობა.

- 9
- 10
- 13.სანიაღვრე არხის ამოწმენდა.
14. დურღუნას გზის ორმული შეკეთება.

ქვ. ქვალონი

პროექტების საერთო ღირებულება 285.494 ლარი.

განხორციელდა:

- 1.საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები.
- 2.სანიაღვრე არხების ამოწმენდა.
- 3.წყალსადენების სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- 4.ხიდბოგირის რეაბილიტაცია.
- 5.სოფ. ბულიშის კულტურის სახლის რემონტი.
- 6.გვიმარონში სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია.
- 7.გზის ორმული შეკეთება.
- 8.ჭითაუმკურის გზის ორმული შეკეთება.
- 9.მოსაცდელების მოწყობა.
- 10.შიდასასოფლო გზების მოხრეშვა.
- 11.გიმოზგონჯილის გზის ორმული შეკეთება.
- 12.საყანე ფართობის შემოღობვა.
- 13.სანიაღვრე არხის ამოწმენდა.
14. დურღუნას გზის ორმული შეკეთება.

შავლეღე

პროექტების საერთო ღირებულება 129.281 ლარი.

განხორციელდა:

- 1.საბავშვო ბაღის მშენებლობა.
- 2.წყალსადენის რეაბილიტაცია და გამრიცხველიანება.
- 3.სოფლის ამბულატორიისა და საბავშვო ბაღის ეზოების კეთილმოწყობა.
- 4.შიდა სასოფლო გზების რემონტი, დაპროფილება-დატკეპვნა ვიბრო სატკეპნით.

ქალაქი

პროექტების საერთო ღირებულება 192971 ლარი.

განხორციელდა:

- 1.საყანე ფართობების შემოღობვა(სხვადასხვა უბნებში).
- 2.გზის რეაბილიტაცია.
- 3.წყლის ავზის შექმნა და მონტაჟი.
- 4.სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია.
- 5.ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები.
- 6.გზების ორმული შეკეთება.
- 7.შიდა სასოფლო ხრეშოვანი გზის ორმული შეკეთების სამუშაოები სხვადასხვა უბნებში.

თორსა დღვაბა

პროექტების საერთო ღირებულება 128.304 ლარი.

განხორციელდა:

1. 9 აპრილის მემორიალის სკვერის მოწყობა .
- 2.სანიაღვრე არხების ამოწმენდა.
- 3.შიდა გზების ორმული შეკეთება და მოხრეშვა.
- 4.ადმინისტრაციული ცენტრის კეთილმოწყობა.
- 5.სასაფლაოს შემოკავება და მისასვლელი გზის შეკეთება.
6. საყანე ფართობების შემოკავება.
- 7.სპორტული მოედნის კეთილმოწყობა.
8. წყალსადენის რეაბილიტაცია.

ბია

პროექტების საერთო ღირებულება 94.182 ლარი .

განხორციელდა:

1. საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.
2. საძოვრების შემოღობვა.
3. მოსაცდელების მოწყობა.
4. გზის ორმული შეკეთება.
5. ზემო ბიაში გზის სარემონტო სამუშაოები.

პირველი ხორვა

პროექტის საერთო ღირებულება 68.689 ლარი.

განხორციელდა:

- 1.სანიაღვრე არხების ამოწმენდა.
- 2.საბავშვო ბაღის წყალგაყვანილობის და კანალიზაციის რეაბილიტაცია.
3. გზის ორმული შეკეთება.
4. საბავშვო ბაღის ოთახების რემონტი.
5. შიდა- სასოფლო გზის რემონტი-დაპროფილება.
6. ადმინისტრაციული შენობის (ტერიტ. ორგანოს) შემოღობვა.

საგვიჩიო

პროექტის საერთო ღირებულება 63.846 ლარი.

განხორციელდა:

- 1.სტადიონის კეთილმოწყობა.
- 2.საყანე ფართობების შემოკავება სხვადასხვა უბნებში.
3. სასაფლაოს ტერიტორიის კეთილმოწყობა.
4. საბავშვო ბაღის შენობის რემონტი.
5. შიდა- სასოფლო გზის რემონტი-დაპროფილება.
6. სამოვრების გამიჯვნა საავტომობილო გზის ზოლიდან.
- 7.ადმინისტრაციული შენობის (ტერიტ. ორგანოს) შემოღობვა.

ყულევი

პროექტების საერთო ღირებულება 35.194 ლარი.

განხორციელდა:

1. გარე განათების მოწყობა.
2. გზების ორმული შეკეთება.
3. სანიაღვრე არხების ამოწმენდა.
4. წყლის ავზის შეძენა და მონტაჟი.

ანგარიში. 2012წელს ხობის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები.

2012 წლის განმავლობაში ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა 3266,4 ათასი ლარის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

მათ შორის:

I.რეგიონალური პროექტების ფონდიდან 982,3 ათასი ლარის სამუშაოები:

1. ქ.ხობში ასფალტობეტონის საფარი.
- 2.ჯაპიშაქრის გზის ასფალტობეტონის საფარი.
- 3.ცოტნე დადიანის N 238 საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

II.მთავრობის სარეზერვო ფონდიდან განხორციელდა 400.00 ათასი ლარის სამუშაოები:

1. მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა.
2. წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
3. სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.
4. გარე განათების სამუშაოები.
5. ნაპირსამაგრი სამუშაოები.
6. სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

III. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელდა 890.5 ათასი ლარის სამუშაოები. თემებსა და სოფლებში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები.

IV.ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა 806.8 ათასი ლარის სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები .

2013 წლის განმავლობაში განხორციელდა 4716.00 ათასი ლარის კაპიტალური სამუშაოები:

მათ შორის:

I. რეგიონალური პროექტების ფონდიდან 1339.051 ლარის სამუშაოები:

1. ცოტნე დადიანის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობა.

2. ქ. ხობის ცენტრის (ტროტუარების, გზის სავალი ნაწილის და მიწისქვეშა კომუნიკაციების) კეთილმოწყობა.

3. სანიაღვრე არხების კეთილმოწყობა.

4. ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა.

5. ქ. ხობში, კოლხეთის დასახლებაში ასფალტო-ბეტონის საფარის კაპიტალური შეკეთება.

6. ნაგავმზიდი ტექნიკის შეძენა . 1 დიდი და 1 პატარა ნაგავმზიდი (79.999 ლარი)

II. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის საქ. მთავრობის 2013 წ. 2 აგვისტოს და 9 ოქტომბრის განკარგულებით (N1443) გამოყოფილ იქნა 2300.0 ათასი ლარი. სამუშაოები განხორციელდა 97 ობიექტზე (გზების რეაბილიტაცია, ხიდები და ხიდბოგირები, სანიაღვრე არხების მოწყობა, გამგეობის შენობის სახურავის კაპიტალური რემონტი.)

III. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გგგა აანხორციელდა 882.794 ლარის სამუშაოები (77 პროექტი).

IV. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გახარჯულ იქნა 210.3 ათასი ლარის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები (13 პროექტი).

1. გზების მოვლა-შენახვა.

2. თავისუფლების ქუჩაზე სანიაღვრე არხები.

3. ადმ. შენობის კარ-ანჯრების რეაბილიტაცია.

4. სტალინისა და ცოტნე დადიანის ქუჩაზე ეზოების კეთილმოწყობა.

2014წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა 2243.13 ათასილარის კაპიტალური სამუშაოები:

მათ შორის:

- I. რეგიონალური პროექტების ფონდიდან დახარჯულია 595.50 თასი ლარი ქ. ხობის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის.
- II. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელდა 834.00 ათასი ლარის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები (სულ115 პროექტი).
- III. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 89.0ათასი ლარი სამშენებლო-სარემონტო და სხვა მომსახურებაზე .
 1. გზების მოვლა-შენახვა.
 2. შავდელეს ამბულატორიი სამშენებლო სამუშაოები.
 3. მინი სტადიონის მოვლა -შენახვა.
 4. ყულევის წყლით მომარაგება.

2012 წლის 1 ოქტომბერს ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოსული კოალიცია „ქართული ოცნება“ ცდილობს კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვით დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას. ქართული საზოგადოება ნათლად ხედავს, რომ „ქართული ოცნების“ დაპირებები ეტაპობრივად სრულდება.

მიუხედავად, ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებისა ჩვენი ხელისუფლება კვლავაც ყველაფერს გააკეთებს, რათა გაამართლოს მოსახლეობის იმედები და უფრო უკეთესი და წარმატებული იყოს მომდევნო წლები. შესაძლებლობების ფარგლებში ვცდილობდით და ვცდებით მაქსიმალურად ეფექტურად და მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად განვახორციელოთ ჩვენი საქმიანობა. სწორედ საზოგადოებასთან ჯანსაღი ურთიერთობით, ადგილობრივ თვითმართველობაში მათი სრული ჩართულობით, ერთობლივი ძალისხმევითაა მიღწეული ჩვენი მუნიციპალიტეტის დღევანდელი მიღწევები და განვითარება.

2012-2015 წლებში, როგორც მთელ ქვეყანაში, ასევე ხობის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული ეკონომიკური აღმშენებლობის გზაზე ისეთი პრიორიტეტული სფეროების განვითარებაში, როგორცაა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, სოფლის მეურნეობის განვითარება და სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის დახმარების მუნიციპალური პროგრამების განხორციელებაში.

2012-2015 წლებში, ხობის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე გახარჯულია 12.445.53 ლარი (12 მილიონ 445.53).

მათ შორის:

1. რეგიონალური პროექტების ფონდიდან. 2.916.851
2. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2.616.876 ლარი.
3. ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1.106.1 (1 მილიონ 106.1).
4. მთავრობის დადგენილებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ 7.300.000.
5. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 387.8 ლარი.
6. 2015 წელს ხობის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის გამოყოფილი 2220 ათასი (2 მილიონ 220 ათასი) ლარიდან ათვისებულია 1.695.000 ლარი. დარჩენილი მიმდინარე სამუშაოები დეკემბრისთვის დასრულდება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები:

1. ხობის N2 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია. 317.645 ლარის ღირებულების პროექტი.
2. ბიის წყალსადენის რეაბილიტაცია. 129.488 ლარი.
3. ქ. ხობის 5 ქუჩის ასფალტო-ბეტონის საფარით კეთილმოწყობა. 300.000 ლარი.

4.ხეთა-თორსის წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროგრამა. 530.000 ლარი.

5.ჭყონდიდელის ქუჩაზე მრავალბინიანი შენობის გადახურვა.75.935 ლარი.

6.ქ. ხობის წყლის სისტემის სრული რეაბილიტაცია მფგ-პროგრამით(3 მილიონზე მეტია თვისებული).

7.ზუგდიდი-ნარაზენი-ძველი ხიბულა- ახალი ხიბულა -ზუბის 5 კილომეტრიანი გზის მონაკვეთის მოასფალტება, გზასთან ერთად კეთდება 4 ახალი ხიდბოგირი და რეაბილიტაცია უკეთდება 3 ხიდბოგირს,ამათგან ერთი არის 21- მეტრიანი ხიდის პროექტი,რომლის ღირებულება 2 მილიონ 246 ათასი ლარი.

8.ასევე მნიშვნელოვანია ქვესადგურ „ხორგის“ მშენებლობის პროექტი, რომელიც „აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერითა და საქ. მთავრობის თანადაფინანსებით

ხორციელდება , დაახლოებით 12 მილიონი ევროს მოცულობით. სამშენებლო სამუშაოებს

ავსტრიული კომპანია SIMENS-ი აწარმოებს. ქვესადგური,„ხორგა“-ს მშენებლობა ქვეყნის ენერგეტიკისთვის მნიშვნელოვანი პროექტია,რომელიც ხელს შეუწყობს მომხმარებლისათვის ელექტროენერჯის უწყვეტ, საიმედო მიწოდებას ფოთის ინდუსტრიული ზონისა და მისი მიმდებარე ტერიტორიებისთვის დამატებითი სიმძლავრის უწყვეტ მიწოდებას, საექსპორტო ბაზებთან დაკავშირებას და საშუალებას მისცემს ქვეყანას განახორციელოს ელექტროენერჯის ექსპორტი თურქეთში. პროექტი დასრულდება 2016 წელს.

9.2013 წელს ხობში გაიხსნა თხილის გადამამუშავებელი ქარხანა- შპს„ჯორჯიან პროდაქტ რენესანსის“. მასში განხორციელდა 300000 აშშ დოლარის ინვესტიცია. ქარხანამ სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოს ფარგლებში მოიპოვა 782 000 დოლარის დაფინანსება. დასაქმებულია 25 ადამიანი (პერსპექტივაში 70 ადამიანი დასაქმდება).

2015წელს„აწარმოე საქართველო“-ს პროექტის პროგრამის ფარგლებში ბიზმესმენ თამაზ ბასილაიას მიერ დაფუძნდა პლასტმასისა და ბეტონის ფილების საწარმო. მშენებლობაზე დასაქმებული იყო 50 ადგილობრივი მუშა. ამჟამად ქარხანაში დასაქმებულია 30 ადამიანი. შპს „ფიგარო“ „აწარმოე საქართველოს“ პროგრამით უახლოეს მომავალში კიდევ ერთ საწარმოს გახსნის.

2015წელს საფუძველი ჩაეყარა „ზეთის ქარხანის“ მშენებლობას, რომელიც ასევე „აწარმოე საქარველოს“ პროგრამით ხორციელდება(გოდერძი ბუკია).

მნიშვნელოვანი წარმატებებია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამელორაციო სისტემის აღდგენისა და

რეაბილიტაციის სამუშაოები. სამელორაციო სისტემის დაშრობილი ფართობები 26129 ჰა-ს შეადგენს, აქედან 11600ჰა სფერული კვლებია.

ბოლო წლებში, ხობის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში

,შემავალმა უწყებამ შპს„საქართველოს მელიორაცია“ მამტაბური სამელორაციო სამუშაოები ჩატარა და ადგილობრივ ფერმერებს ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის დანიშნულებისამებრ გამოყენების საშუალება მიეცათ.

პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში MD მაგისტრალურ არხზე მოხდა სატუმბი სადგურების N1(6ტუმბო) და N2(3ტუმბო) რეაბილიტაცია და აღნიშნული არხის(8350გრძივი მეტრი) ამოწმენდის სამუშაოები მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ამ მონაკვეთზე ჭარბი ნალექების დროს სისტემატურად იტბორებოდა მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. სამუშაოების დასრულების შემდეგ ადგილობრივებს ეს პრობლემა მოუგვარდებათ.

2013-2014-2015წლებში სამელორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენისა რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში: შავლეღე,ნოჯიხევი, შუა ხორგა, ქვემო ქვალონი, ჭალადიდი, ახალსოფელი,ხეთა. სამუშაოები მიმდინარეობს ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში და დაგეგმილია ხამისქურის, პირველი მაისის, გურიფულის, ქარიატის, შავლეღეს ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ჯანდაცვა

ადგილობრივი ხელისუფლების ერთერთი პრიორიტეტია სოციალური და ჯანდაცვის სფერო.

ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის დახმარებისა და ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამით განხორციელდა 1396.488 ლარის სხვადასხვა სახის დახმარებები:

1.2013 წელს 788.42 ლარის ღირებულების.

2.2014 წელს 261.232 ლარის ღირებულების.

3.2015წელს გამოყოფილია346.836 და გახარჯულია 20899ლარი.

მუნიციპალური პროგრამის სოციალურად დაუცველთა და შეჭირვებულთა დახმარების პროექტი მოიცავს:

1. მრავალშვილიანთა, ობოლი ბავშვებისა და ახალშობილთა ოჯახების დახმარებას-45000
2. სიღატაკის ზღვარს მიღმა ოჯახების დახმარებას-32964+24200
3. სტიქიით დაზარალებულთა დახმარება-20000
4. დიალეზზე მყოფ ავადმყოფების ყოველთვიური დახმარება-11700
5. დევნილთა დაკრძალვის დახმარება-800
6. სამამულო ომის ვეტერანთა დახმარება-1500
7. უმწეოთა სასაბუღალტრო ერთჯერადი კვება და მომსახურება-30948
8. საოპერაციო ხარჯების დაფინანსება-50631